ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

23 იანვარი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორის გელა დუნდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ელ–დე-მარი" მისი დირექტორის თეონა ჯიბლაძეს სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი" ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის 2017 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს სამეურნეო საქონელს (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სამეურნეო საქონელი
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია -42600000-ჩარხები
კლასიფიკატორის (CPV)-კოდი-42675100-ბენზოხერხის ნაწილები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად (ეტაპობრივი მიწოდება), მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების ცენტრის დირექტორი.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი:	შპს „ელ-დე-მარი"-ს დირექტორი:
გ.დუნდუა	თ.ჯიბლაძე
ს/კ № 415092919	სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი
სახელმწიფო ხაზინა	ბ/კ BAGAGE22 ს/კ 415093687
მის: ქ. ფოთი ჭანტურიას N3	ა/ა GE64BG0000000906007400
	მის.ქ.ფოთი ჭანტურიას N11

ფასების ცხრილი

დანართი N1

N	CPV-კოდი	საქონელის დასახელება	ფასი/ლარებში/
	42675100	ბენზოხერხის ნაწილები	500
			500

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა-პატრონობის
ცენტრის დირექტორი:

გ.დუნდუა

ს/კ № 415092919
სახელმწიფო ხაზინა
მის: ქ. ფოთი ჭანტურიას N3

„მიმწოდებელი"

შპს „ელ-დე-მარი"-ს
დირექტორი:

თ.ჯიბლაძე

სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი
ბ/კ BAGAGE22 ს/ს 415093687
ა/ა GE64BG0000000000906007400
მის.ქ.ფოთი ჭანტურიას N11